ნიკეის პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების 318 პატრიარქის ხსენების დღე

ნიკეის პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების 318

პატრიარქის ხსენების დღე

ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება ჩატარდა 325 წელს იმპერატორ კონსტანტინე დიდის ბრძანებით, კონსტანტინოპოლის მახლობლად, ქალაქ ნიკეაში. კრებას ესწრებოდა საერთო ეკლესიის 318 გამოჩენილი პატრიარქი. ისინი შეიკრიბნენ, რათა ბოლო მოეღოთ ალექსანდრიის პატრიარქ ალექსანდრესა და არიოზს შორის არსებული დავისათვის. წინააღმდეგ მსოფლიო ქრისტიანული ეკლესიის დოგმისა, რომლის მიხედვითაც ძე ღმერთი (იესო ქრისტე) მამა ღმერთის ერთარსი და თანასწორია, არიანელობის თანახმად, ქრისტე დასაბამიდან მამა ღმერთთან ერთად არ არსებობდა, იგი შემდგომ შეიქმნა ადამიანის მსგავსად. ქრისტეში, ერთსა და იმავე დროს ღმერთიც არის და ადამიანიც, ჭარბობს ადამიანურობა. კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრებამ საბოლოოდ დაგმო არიანელობა. არიოზი, ისევე, როგორც გნოსტიკოსები, უარყოფდნენ ქრისტეს ღვთაებრიობას. არიოზს მრავალი მხარდამჭერი გამოუჩნდა (იხ. არიანელობა). ალექსანდრიის პატრიარქმა ალექსანდრემ არიოზი ღვთისგმობაში დაადანაშაულა.
ნიკეის საეკლესიო კრებაზე განისაზღვრა და დადგინდა ქრისტიანობის ძირითადი

დოქტრინები (დოგმატები).

ნიკეის პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებას ესწრებოდა წმინდა გრიგოლ განმანათლებლის შვილი - არისტაკესი. კრებაზე მიღებული ქრისტიანობის ძირითადი ფორმულა, რომელიც ცნობილია, როგორც ნიკეის დოგმატები, სომხეთში ჩამოიტანა და წარუდგინა მამამისს - წმინდა გრიგოლ განმანათლებელს, ამ უკანასკნელმა დაამატა ერთი ნაწყვეტი - „ჩვენ კი ვადიდოთ...“, ნიკეაში მიღებული ქრისტიანული დოგმატები და წმინდა გრიგოლ განმანათლებლის მიერ დამატებული ადგილი დღესაც უცვლელად გამოიყენება სომხური ეკლესიის ღვთისმსახურებაში. არისტაკესმა ჩამოიტანა ნიკეის კრებაზე მიღებული 20 კანონი, რომლებიც დაამტკიცდა წმინდა გრიგოლ განმანათლებელმა.

აღნიშნის თარიღი

06.09.2008
05.09.2009
04.09.2010
03.09.2011
01.09.2012
07.09.2013
06.09.2014
05.09.2015
03.09.2016
09.09.2017

1 / 2

ნიკეის პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების 318 პატრიარქის ხსენების დღე

01.09.2018
07.09.2019
05.09.2020
07.09.2021
03.09.2022
09.09.2023
07.09.2024
06.09.2025
05.09.2026
04.09.2027
09.09.2028
01.09.2029
07.09.2030

2 / 2